



# საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს სამოქალაქო საბჭოს წევრების მიერ გამოვლენილი საჭიროებები საქართველოში



“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” 2018 წელს დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის მიერ შექმნილი ადგილობრივი სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი პრობლემების ადვოკატირებას.

სამოქალაქო საბჭოები არის ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანება, რომლის მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ძალისხმევით და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ 20 მილიონი ლარით დაფინანსებაა გათვალისწინებული. ჩვენი სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი საჭიროებების და არსებული პრობლემების დოკუმენტი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წყარო იყოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის ამა თუ იმ დასახლებაში არსებული საჭიროებების იდენტიფიკაციისთვის და შემდგომში, მოსახლეობის საკეთილდღეოდ ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პრობლემის მოსაგვარებლად.

შესაბამისად, წარმოგიდგინებთ უშუალოდ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ შემდეგი წლის ბიუჯეტში აისახოს. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას უახლოეს დღეებში დაინიშნებს.

| ადგილმდებარეობა | პრობლემის ტიპი                                    | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-----------------|---|---|
| ქაქაბი ზუგდიდი  | მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა | <ul style="list-style-type: none"> <li>ავტობუსების პარკის განახლება</li> <li>მოქალაქეებზე მორგებული გადაადგილების გრაფიკის განერა</li> </ul>  |
|                 | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა              | <ul style="list-style-type: none"> <li>ასფალტის დაგება ცაბაძის, ლერმონტოვის, კუბის, ოსტროვსკის, დგებუაძის, ტოლსტოის, ბორჯომის, ბაკურიანისა და დავით ჯიქიას ქუჩებზე</li> <li>გზის საფარის მოასფლაცია და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიმდებარედ</li> <li>გზის საფარის განახლება თამარ მეფის ქუჩაზე</li> <li>ალმაშენებლისა და კოსტავას ქუჩების კვეთაზე არსებული მუქნიშნის გამართვა</li> <li>გებრა-გადასასვლელის მოწესრიგება-გადაღება</li> <li>სიჩქარის შემზრუდავი ბარიერების დამონტაჟება მაცხოვრისკარის ქუჩაზე</li> <li>ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა სამეგრელოს ქუჩაზე</li> </ul> |
|                 | ანტისანიტარია                                     | ენგურქალაქდკომბინატის დასახლებაში, გორგასლის ქუჩის დასაწყისში, ეკლესიის გვერდით არსებული დაჭაობებული ტერიტორიის დაპრობა და კეთილმოწყობა   |
|                 | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა                     | <ul style="list-style-type: none"> <li>ატრაქციონებისა და ელექტრო გაყვანილობების განახლება დადიანის სასახლის მიმდებარედ</li> <li>თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N 15-ე საბავშვო ბაღის ეზოში ბავშვთა სათამაშო მოედნის კეთილმოწყობა</li> <li>N13-ე საბავშვო ბაღის სათამაშო მოედნის კეთილმოწყობა</li> <li>ენგურქალაქდკომბინატის დასახლებაში, სპორტული კომპლექსის მიმდებარედ განთავსებული ბავშვთა გასართობი მოედნის კეთილმოწყობა</li> <li>ც. დადიანის 1-3 კორპუსებს შორის არსებული ბავშვთა გასართობი მოედნის კეთილმოწყობა</li> <li>დგებუაძისა და ტოლსტოის, ასევე ბაკურიანისა და ბორჯომის ქუჩაზე მინისაფეხბურთო სტადიონისა და ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობა</li> </ul>  |

| ადგილმდებარეობა | პრობლემის ტიპი                       | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-----------------|--------------------------------------|---|
| სოფელი ზუგდიდი  | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა        | <ul style="list-style-type: none"> <li>საბავშვო ბაღის შენობის კედლების, ჭერის, იატაკის, საძირკველის შეკეთება, კარებისა და ფანჯრების შეცვლა</li> </ul> |
|                 | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა | <ul style="list-style-type: none"> <li>საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზის მოასფლაცია</li> </ul>   |

| ადგილმდებარეობა | პრობლემის ტიპი                                    | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-----------------|---|---|
| სოფელი დიდიხაი  | მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა | <ul style="list-style-type: none"> <li>საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მოწყობა</li> </ul>               |
|                 | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა              | <ul style="list-style-type: none"> <li>შიდა გზების მოასფლაცია</li> </ul>                                      |
|                 | ანტისანიტარია                                     | <ul style="list-style-type: none"> <li>სანაგვე ურნებისა და ნაგავშემკრები კონტეინერების დამონტაჟება</li> </ul> |

| ადგილმდებარეობა | პრობლემის ტიპი                       | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-----------------|--------------------------------------|---|
| სოფელი ნაჩაჩანი | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა        | <ul style="list-style-type: none"> <li>საქემო ამბულატორიის რეაბილიტაცია</li> <li>საბავშვო ბაღის ეზოში სათამაშო მოედნის კეთილმოწყობა</li> <li>სოფლის N1 სასაფლაოს შემოღობვა</li> </ul> |
|                 | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა | <ul style="list-style-type: none"> <li>მდინარე ჭანისწყლის ხიდან დამაკავშირებელი გზის 800 მეტრიანი მონაკვეთის მოასფლაცია</li> </ul>  |

| ადგილმდებარეობა         | პრობლემის ტიპი                       | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-------------------------|--------------------------------------|---|
| სოფელი ახალი აბასთუვანი | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა | <ul style="list-style-type: none"> <li>შიდა გზებისა და ქალაქ ზუგდიდთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა</li> <li>სანიაღვრე არხების აღდგენა</li> </ul>        |
|                         | ანტისანიტარია                        | <ul style="list-style-type: none"> <li>ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსება</li> </ul>  |
|                         | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა        | <ul style="list-style-type: none"> <li>საბავშვო ბაღის შენობის დაუყოვნებლივი რეაბილიტაცია</li> <li>საქემო ამბულატორიის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა</li> </ul> |

| ადგილმდებარეობა | პრობლემის ტიპი                | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-----------------|-------------------------------|---|
| სოფელი ანაკლია  | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა | <ul style="list-style-type: none"> <li>დევნილთა დასახლებასთან სკვერის აშენება</li> <li>გარე განათების სისტემის დამონტაჟება შიდა ქუჩებში</li> <li>სანიაღვრე არხების აღდგენა</li> <li>ნაპირსამაგრი ნაგებობების აღდგენა, როგორც მდინარე ენგურზე, ასევე შავი ზღვის სანაპიროს გარკვეულ მონაკვეთებში</li> </ul> |
|                 | დასუფთავება                   | <ul style="list-style-type: none"> <li>სანაპირო ზოლის პერიოდული დასუფთავება და არა მხოლოდ ტურისტულად აქტიურ პერიოდში</li> <li>ტურისტულად აქტიურ ზონაში საზოგადოებრივი საპირფარეოების მოწყობა</li> </ul>   |

| ადგილმდებარეობა   | პრობლემის ტიპი                       | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-------------------|--------------------------------------|---|
| სოფელი ახალკახატი | სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა        | <ul style="list-style-type: none"> <li>სოფლის ცენტრში ჭაბურღილის მოწყობა</li> </ul>   |
|                   | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა | <ul style="list-style-type: none"> <li>შიდა გზების აღდგენა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება</li> </ul>  |
|                   | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა        | <ul style="list-style-type: none"> <li>სოფლის ცენტრში საზოგადოებრივი საპირფარეოს აშენება</li> <li>სოფლის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა და წიგნების ფონდის განახლება</li> </ul> |

| ადგილმდებარეობა | პრობლემის ტიპი                       | მოსახლეობის მოთხოვნა  |
|-----------------|--------------------------------------|---|
| სოფელი ინიჩი    | მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა        | <ul style="list-style-type: none"> <li>სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც ამჟამად ვერძო სახლია განთავსებული</li> </ul>                                 |
|                 | მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა | <ul style="list-style-type: none"> <li>სანიაღვრე არხების მოწესრიგება</li> <li>ზუგდიდი-ანაკლიის დამაკავშირებელი გზის სოფელ ინიჩის მონაკვეთის შეკეთება</li> </ul> |

მნიშვნელოვანია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების შესწავლა მუნიციპალიტეტის მერის დროულად დაინიშნოს, პრობლემების მასშტაბურობიდან გამომდინარე კი შესაბამისი მიმართვა მოამზადოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელზე, რათა მოხდეს დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია.

ჩვენი მხრიდან მზად ვართ, რომ დამატებით კონსულტაციებში ჩავერთოთ ჩვენი ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოს წევრებისა და რეგიონული ოფისის წარმომადგენელთა მონაწილეობით.